

# შენიშვნები

ააიპ საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის (GDI) კვლევაზე

(„მოსამართლეთა წინასაარჩევნო მიგრაცია“)

გავეცანით ააიპ საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის მიერ მომზადებული კვლევას „მოსამართლეთა წინასაარჩევნო მიგრაცია“ (შემდგომში - „კვლევა“).

ირკვევა, რომ „კვლევა“ ფოკუსირებულია ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიებში/პალატებში მოსამართლეთა 2019 წლის მაისიდან 2020 წლის 30 ოქტომბრამდე განხორციელებულ გადაადგილებათა ქრონოლოგიაზე და მიზეზებზე, განსაკუთრებით კი - საარჩევნო დავების განმხილველი ვიწრო სპეციალიზაციის მოსამართლეებზე და მორიგეობის წესით საქმეთა განმხილველ მოსამართლეებზე.

კატეგორიულად არ ვეთანხმებით „კვლევაში“ ასახულ შეფასებებს, რის გამოც გვსურს გამოვთქვათ არგუმენტირებული შენიშვნები მათთან დაკავშირებით.

## 1. შენიშვნები „კვლევის“ შესავალ ნაწილზე:

1.1. აღნიშნულია, რომ საქართველოს უახლესი ისტორიის განმავლობაში ქვეყნის მმართველი პოლიტიკური ძალა ან ცდილობდა გაეკონტროლებინა სასამართლო ხელისუფლება, ან ეთანამშრომლა მასთან, რათა სასამართლოს არ მიეღო მისი საწინააღმდეგო გადაწყვეტილება, განსაკუთრებით - არჩევნების შედეგებთან მიმართებით.

გარდა იმისა, რომ ეს დასკვნა აბსოლუტურად დაუსაბუთებელია და „კვლევის“ ავტორი არასამთავრობო ორგანიზაციის მიკერძოებულ ვარაუდებს ემყარება, აღსანიშნავია, რომ „კვლევის“ ავტორი, ამ დასკვნის გასამყარებლად და საფუძვლად, სქოლიოში მიუთითებს „ადამიანის უფლებათა შესახებ საქართველოს 2019 წლის ანგარიშზე“, რომელიც მომზადებულია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ. კიდევ ერთხელ ყურადღებით გავეცანით მითითებულ ანგარიშს და სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ „კვლევის“ ავტორის სადავო დასკვნის განმაპირობებელ მსჯელობას *ანგარიშში არ შეიცავს*. ამდენად, „კვლევის“ ავტორი სიცრუეს ტირაჟირებს, როცა უსაფუძვლოდ უთითებს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ მომზადებულ ანგარიშზე.

1.2. აღნიშნულია, რომ ზემოთ მითითებული თანამშრომლობის გამოხატულება იყო ორი მოვლენა: ა) 2019 წლის პირველ ნახევარში, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შესარჩევი საკანონმდებლო რეგულაციების შექმნისას, მმართველმა პარტიამ გაითვალისწინა „სასამართლო სისტემაში არსებული მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის“ ინტერესები, ხოლო საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციების დასკვნები და რეკომენდაციების უმეტესი ნაწილი უგულებელყო; ბ) 2019 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტმა საქართველოს უზენაესი სასამართლო იმ პირებით დააკომპლექტა, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა მმართველ პარტიასთან ან/და ისევ „სასამართლო სისტემაში არსებულ მოსამართლეთა გავლენიან ჯგუფთანაა“ დაკავშირებული.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ პროცედურა, რომლის საფუძველზედაც საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ (შემდგომში - საბჭო) 2019 წელს შეარჩია უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის 20 კანდიდატი და წარუდგინა საქართველოს პარლამენტს, ხოლო პარლამენტმა 14 მათგანი აირჩია უზენაესი სასამართლოს მოსამართლის

თანამდებობაზე, იყო და არის უპრეცედენტო მთელს მსოფლიოში, თავისი საჯაროობის და გამჭვირვალობის ხარისხით, სამართლიანი კონკურსის პრინციპების დაცვით წარმართვის და კანდიდატთა დამსახურებაზე დაფუძნებით შერჩევის გზით. ასევე უპრეცედენტო იყო ის პროცესი, რაც წინ უძღოდა ამ პროცედურის განმსაზღვრელი საკანონმდებლო რეგულაციების ჩამოყალიბებას, მასში სასამართლო ხელისუფლებაში მიმდინარე მოვლენებით დაინტერესებული ყველა სუბიექტის (საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებები, საქართველოს პარტნიორი სახელმწიფოების და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების უმაღლესი დონის დიპლომატიური და სხვა წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები, საქართველოს სახალხო დამცველის ოფისი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია და სხვ) ჩართულობის და პროცესის ხანგრძლივობის (რამდენიმე თვის განმავლობაში ინტენსიურად იმართებოდა აღნიშნული ფართო შემადგენლობით სამუშაო ჯგუფის შეხვედრები) თვალსაზრისით.

ძირითადი საკითხი, რაზედაც სამუშაო ჯგუფის მონაწილეთა მოსაზრებები ვერ შეჯერდა, იყო საბჭოს მიერ კანდიდატებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების ფორმა, უნდა ყოფილიყო ეს ფარული თუ ღია კენჭისყრა. ჩვენ, სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები, ვასაბუთებდით, რომ საბჭოს წევრების მხრიდან ნების თავისუფლად, ყოველგვარი გარე ზეწოლის თუ შესაძლო კორპორაციული ინტერესის გაუთვალისწინებლად გამოვლენის საუკეთესო საშუალება იქნებოდა ფარული კენჭისყრა, რომლის პროგრესული ხასიათი არაერთხელ ყოფილა აღიარებული სამართლის დოქტრინაში თუ სხვადასხვა ავტორიტეტული ინსტიტუციის რეკომენდაციებში. მაგალითად, ჩვენ ვეყრდნობოდით ვენეციის კომისიის 2013 წლის 11 მარტის №701/2012 დასკვნას, რომლის თანახმად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შესული ცვლილება საბჭოს მოსამართლე წევრების ასარჩევად არსებული ღია კენჭისყრის ფარული კენჭისყრით შეცვლის შესახებ შეფასდა როგორც „მისასალმებელი ცვლილება“ (იხ: დასკვნის 39-ე პუნქტი).

ასევე ხაზგასასმელია, რომ პროცედურის შემადგენელი მნიშვნელოვანი ეტაპი - კანდიდატებთან საჯარო მოსმენა (გასაუბრება), წარიმართა აბსოლუტურად ღიად, ისე, რომ, ერთი მხრივ, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ჰქონდა შესაძლებლობა საბჭოს წევრის და შემდგომში პარლამენტის წევრის მეშვეობით დაესვა კანდიდატისათვის შეკითხვა და საჯაროდ მიეღო მისგან პასუხი; მეორე მხრივ, საზოგადოებას ჰქონდა სრული შესაძლებლობა - შეეფასებინა კანდიდატის კეთილსინდისიერების და კომპეტენციის დონე, კანდიდატის ქმედებებიდან და პასუხებიდან გამომდინარე.

და ბოლოს, პროცედურის განმსაზღვრელი, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისი ნორმების საქართველოს კონსტიტუციისადმი შესაბამისობა დაადასტურა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, თავისი 2020 წლის 30 ივლისის №3/1/1459,1491 გადაწყვეტილებით, რომლითაც არ დააკმაყოფილა საქართველოს სახალხო დამცველის სარჩელი აღნიშნული ნორმების არაკონსტიტუციურად მიჩნევის თაობაზე.

ასეთ პირობებში, გარდა შინაარსობრივი უსაფუძვლობისა, აბსოლუტურად დაუსაბუთებელია „კვლევის“ ავტორის დასკვნა (მით უფრო კანდიდატთა იდენტიფირების გარეშე), რომ 2019 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტისადმი ნომინირებულ კანდიდატთა „აბსოლუტური უმრავლესობა მმართველ პარტიასთან ან/და სასამართლო სისტემაში არსებულ მოსამართლეთა გავლენიან ჯგუფთან იყო დაკავშირებული“, აგრეთვე - დასკვნა, რომ მათი კვალიფიკაციის და კეთილსინდისიერების თაობაზე „მრავალი კითხვა გაჩნდა“. ხაზგასმით ვაცხადებთ, რომ ყველა კანდიდატთან მიმართებაში საბჭომ

გადაწყვეტილება მიიღო ზემოაღნიშნული, საჯარო (გამჭვირვალე) და კონსტიტუციისადმი შესაბამისი პროცედურის შედეგად, მხოლოდ კანდიდატთა დამსახურების გათვალისწინებით, რაც, თავის მხრივ, განისაზღვრა საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებული ობიექტური კრიტერიუმების - კეთილსინდისიერების და კვალიფიკაციის სათანადოდ შეფასების საფუძველზე.

**1.3.** მითითებულია, რომ 2020 წლის 22 ოქტომბერს საბჭო 2-მა მოსამართლე წევრმა დატოვა. ამ მოვლენის რეალური მიზეზი ახსნილია მხოლოდ გიორგი მიქაუტაძის შემთხვევაში: მითითებულია, რომ იგი არჩეულ იქნა უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის თავმჯდომარის თანამდებობაზე და, ამიტომ, კანონის საფუძველზე, შეუწყდა წევრის უფლებამოსილება; რევაზ ნადარაიასთან დაკავშირებით კი აღნიშნულია, რომ მას უფლებამოსილების ვადა გასდიოდა 2021 წლის 8 აპრილს და რომ მან თანამდებობა ნებაყოფლობით, ვადამდე დატოვა. შემდეგ, ამ ფაქტს დაუკავშირდა 2020 წლის 30 ოქტომბერს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა კონფერენციის მიერ საბჭოს წევრებად ქეთევან ცინცაძის და თეა ლეონიძის, ხოლო მდივნად - ნიკოლოზ მარსაგიშვილის არჩევა და, საბოლოოდ, დასკვნა იმის შესახებ, რომ სასამართლოს სისტემაში არსებული „კლანი“ ცდილობს - საპარლამენტო არჩევნებამდე მნიშვნელოვან, სტრატეგიულ თანამდებობებზე ლოიალური პირები განაწესოს.

ამგვარი დასკვნა უკიდურესად ტენდენციური და დაუსაბუთებელია, შემდეგი ცხადი ფაქტების გამო:

სასამართლო ხელისუფლებაში არავითარი „კლანი“ ან „მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფი“ არ არსებობს: მოსამართლეთა კორპორაცია შედგება დაახლოებით 300 მოსამართლისაგან; ისინი 4 წელიწადში ერთხელ, ნების აბსოლუტურად თავისუფალი გამოვლენის (ანუ - ფარული კენჭისყრის) საფუძველზე, საბჭოში ირჩევენ 8 მოსამართლე წევრს, რომლებიც, რაღა თქმა უნდა, იცავენ სასამართლო ხელისუფლებისა და კოლეგების ინტერესებს უსაფუძვლო თავდასხმებისა და ცილისწამებებისაგან.

„კვლევის“ ავტორის მიერ მითითებული მოვლენების ობიექტური და მარტივი ახსნა კი შემდეგია:

ყველა ადამიანს, საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლის თანახმად, აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, რაც მოიცავს ნებისმიერი საჯარო თანამდებობის დაკავების უფლებასაც, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს (კონსტიტუციის 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტი).

აღნიშნული უფლებით შეუფერხებლად სარგებლობენ მოსამართლეებიც, რომელთაც ბუნებრივად აქვთ კარიერული წინსვლის სურვილი. მოცემულ შემთხვევაში, გიორგი მიქაუტაძემ დაიკავა უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის თავმჯდომარის თანამდებობა, რის გამოც, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის მე-4 პუნქტით დაწესებული შეზღუდვის (საბჭოში არჩეული 8 მოსამართლე წევრიდან მხოლოდ ნახევარი შეიძლება იყოს სასამართლოს/კოლეგიის/პალატის თავმჯდომარე) გამო, მას ავტომატურად შეუწყდა საბჭოს წევრის უფლებამოსილება, რადგან საბჭოში უკვე იყო 4 ადმინისტრაციული თანამდებობის მქონე მოსამართლე წევრი.

რაც შეეხება რევაზ ნადარაიას, მან საკუთარი გადაწყვეტილება ახსნა ასევე კარიერული წინსვლის სურვილით: 2020 წლის 26 ოქტომბერს გაავრცელა საჯარო განცხადება, სადაც მიუთითა, რომ სურდა მონაწილეობა მიეღო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევ კონკურსში, რაც მოითხოვდა დიდ ძალისხმევას

(საჯარო მოსმენისათვის მომზადების თვალსაზრისით); ამავდროულად, როგორც მოსამართლე, იხილავდა საქმეებს, რის გამოც მიზანშეწონილად ჩათვალა - დაეტოვებინა საბჭოს წევრის თანამდებობა<sup>1</sup>. ამ განცხადების შესახებ „კვლევაში“ საუბარი არ არის.

თავისთავად, საბჭოში 2 ვაკანსიის წარმოშობისთანავე, დღის წესრიგში დადგა ამ ვაკანსიათა დაუყოვნებლივ შევსების ობიექტური საჭიროება, ვინაიდან საბჭოში, ერთმანეთის პარალელურად, მიმდინარეობდა 2 პროცედურა: ა) სააპელაციო და რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში მოსამართლეთა ვაკანტურ თანამდებობებზე (სულ - 99 ვაკანსია) კონკურსი; ბ) საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა ვაკანტურ თანამდებობებზე (9 ვაკანსია) კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა. ასევე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34<sup>1</sup> მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, 2020 წლის 24 ოქტომბრიდან საბჭოს წარმოემობოდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის (ქალბატონი მზია თოდუა) 1 ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატთა შესარჩევი პროცედურის ინიცირების ვალდებულება. ყველა ამ პროცედურაში ძალიან მნიშვნელოვანია საბჭოს მონაწილეობა მთელი შემადგენლობით, განსაკუთრებით - საბჭოს მდივნის მონაწილეობა, ვინაიდან სასამართლო რეფორმის ე.წ. მე-4 ტალღის შედეგად განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, სწორედ საბჭოს მდივანს დაეკისრა ვალდებულება - მოამზადოს საბჭოს მიერ მიღებული საკადრო გადაწყვეტილებების წერილობითი დასაბუთება, საზოგადოების წინაშე საბჭოს საქმიანობის ანგარიშვალდებულების ხარისხის ამაღლების მიზნით.

ისიც აღსანიშნავია, რომ მოსამართლეთა კონფერენციას საბჭოს ორივე ახალი წევრის ასარჩევად კანდიდატურები (ორივე კანდიდატი იყო ქალი) წარუდგინა საქართველოს ქალ მოსამართლეთა ასოციაციამ; კონფერენციამაც, კვალიფიციური უმრავლესობით, წარდგენილი ორივე კანდიდატი აირჩია. ამდენად, საბჭოს შემადგენლობა შეივსო 2 ქალი მოსამართლე წევრით, რითაც კიდევ უფრო გაუმჯობესდა გენდერული ბალანსი. რაღა თქმა უნდა, არც ამ დადებით მოვლენაზე იქნა აღნიშნული „კვლევაში“, მაშინ, როცა ყველა სხვა შემთხვევაში არასამთავრობო ორგანიზაციების ერთ-ერთი პრეტენზია იყო ქალი მოსამართლეების ინერტულობა სასამართლო ხელისუფლებაში ადმინისტრაციული თანამდებობების დაკავების თვალსაზრისით.

ამდენად, ცალსახაა, რომ 2020 წლის 30 ოქტომბრისათვის მოსამართლეთა კონფერენციის დანიშვნა და საბჭოს წევრების, ასევე - მდივნის არჩევა განპირობებული იყო აბსოლუტურად ობიექტური აუცილებლობით და არავითარი კავშირი ჰქონდა მე-2 დღეს გასამართ საპარლამენტო არჩევნებთან, ან მის სამომავლო შედეგებთან.

**1.4.** „შესავლის“ ბოლოს „კვლევის“ ავტორი გვიმხელს „კვლევის“ ჩატარების მიზანს, რომლის შესაბამისადაც, „კვლევის“ ავტორის აზრით, წინასწარჩვენოდ, 2019 წლის მაისიდან 2020 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით, განხორციელდა მოსამართლეთა გადაადგილებები ადმინისტრაციულ საქმეთა პალატებში/კოლეგიებსა თუ საარჩევნო დავების ვიწრო სპეციალიზაციებში, განსაკუთრებით იმ მოსამართლეებისა, რომლებიც „აფილირებულნი“ არიან სასამართლო სისტემაში არსებულ „მოსამართლეთა გავლენიან ჯგუფთან“ (რაზეც მიუთითებს მათი საჯარო განცხადებები თუ პოზიციონირება, ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციების კვლევები), არიან „მოწყვლადები“ მათი გავლენების მიმართ (არ არიან თანამდებობაზე უვადოდ გამწესებულები), ან წარსულში გახმაურებული საქმეები აქვთ განხილული, რომლებშიც გადაწყვეტილება ხელისუფლების ინტერესების სასარგებლოდ

<sup>1</sup> <https://www.radiotavisupleba.ge/a/30913199.html>

მიიღეს). ასევე, კვლევის ინტერესის საგანი ყოფილა, თუ რამდენად დაკომპლექტდა საარჩევნო პერიოდში პირველი ინსტანციის სასამართლოებში მოსამართლეთა მორიგეობის სიები ამგვარი მოსამართლეებით.

უპირველეს ყოვლისა, აბსოლუტურად გაუგებარია და არანაირ ობიექტურ კრიტერიუმს ეფუძნება „საკვლევი“ პერიოდის დაწყება 2019 წლის მაისიდან და მისი დაკავშირება 2020 წლის 31 ოქტომბერს დანიშნულ (ახლა უკვე ჩატარებულ) საპარლამენტო არჩევნებთან. „კვლევის“ ამ ნაწილში მიზეზი ახსნილი არ ყოფილა, თუმცა ამგვარ „ახსნას“ ვხვდებით „კვლევის“ შემდეგ ნაწილში - „ძირითადი მიგნებების“ მე-5 აბზაცში - რომ ეს გადაადგილებები 2019 წლის მაისში დაწყებული „კვალის დაფარვის მიზნით“, რათა გადაადგილებები პირდაპირ არ ყოფილიყო დაკავშირებული საპარლამენტო არჩევნებთან!

ამ აბსურდულ დასკვნასთან დაკავშირებით ჩვენს მოსაზრებებს ქვემოთ, „კვლევის“ შესაბამის ნაწილზე პასუხის გაცემისას დავაფიქსირებთ.

## **2. შენიშვნები „კვლევის“ ძირითადი მიგნებების ნაწილზე:**

**2.1.** მითითებულია, რომ მოსამართლეთა უკონკურსოდ გადაადგილების, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში დაწინაურების, მორიგეობის სიის შედგენისა და მასში ცვლილებების შეტანის, სპეციალიზაციის ცვლილებასთან, ვიწრო სპეციალიზაციებში მოსამართლეთა შემადგენლობის ფორმირებასთან დაკავშირებული ხარვეზიანი საკანონმდებლო ნორმები ამ მექანიზმების არასათანადოდ, ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას იძლევა; აჩენს რისკს, რომ მათ საფუძველზე ადმინისტრაციულ საქმეთა პალატები, კოლეგიები და საარჩევნო დავების ვიწრო სპეციალიზაციები სასამართლო სისტემაში არსებულ მოსამართლეთა გავლენიან ჯგუფთან დაახლოებული პირებით დაკომპლექტდეს, რომლებიც ამჟამად მოქმედი ხელისუფლების სასარგებლო გადაწყვეტილებებს მიიღებენ.

ეს დასკვნა, რომელიც რეალურად დაუსაბუთებელი ბრალდებაა, რამდენიმე კომპონენტისგან შედგება; თითოეულ მათგანზე გაგვაჩნია აბსოლუტურად არგუმენტირებული პასუხი, რომელსაც წარმოვადგენთ პუნქტობრივად, კერძოდ:

**2.1.1.** არის თუ არა სასამართლო სისტემაში მოსამართლეთა უკონკურსოდ გადაყვანის მარეგულირებელი კანონმდებლობა ხარვეზიანი? ჩვენი მოსაზრებით, არ არის ხარვეზიანი, შემდეგ გარემოებათა გამო:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ვაკანსიის წარმოშობის შემთხვევაში შესაძლებელია თანამდებობაზე დანიშნული მოსამართლე მისივე თანხმობით კონკურსის გარეშე დაინიშნოს რაიონული (საქალაქო) ან სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ; ხოლო მე-2 პუნქტის თანახმად, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე კონკურსის გარეშე სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ დაინიშნება, თუ იგი აკმაყოფილებს ამ კანონის 41-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

თავის მხრივ, აღნიშნული 41-ე მუხლი აწესებს ერთადერთ მოთხოვნას: რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე შეიძლება დაინიშნოს სააპელაციო სასამართლოში, თუ იგი რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში მოსამართლის უფლებამოსილებას ახორციელებდა არანაკლებ 5 წლის განმავლობაში; დაწინაურების კრიტერიუმების შემუშავება კი კანონმა საბჭოს მიანდო.

აღნიშნული პროცედურის დეტალური რეგლამენტაცია გათვალისწინებულია საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/208-2007 გადაწყვეტილებით დამტკიცებული საბჭოს რეგლამენტის მე-13<sup>1</sup> მუხლით, კერძოდ:

საკითხის ინიცირების საფუძველი შეიძლება იყოს: ა) სასამართლოში მოსამართლეთა საკმარისი რაოდენობის არარსებობა ან განსახილველ საქმეთა რაოდენობის მკვეთრი ზრდა; ბ) ორგანული კანონით გათვალისწინებული წესით ვაკანტურ ადგილებზე ახალი კონკურსის გამოუცხადებლობა ან კონკურსის დადგენილ ვადაში ჩატარების შეუძლებლობა; გ) მოსამართლის განცხადება სხვა სასამართლოს მოსამართლედ კონკურსის გარეშე დანიშვნის თაობაზე (მე-4 პუნქტი); ხოლო საკითხის ინიცირების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება საბჭოს ოფიციალურ ვებგვერდზე (მე-7 პუნქტი);

იმავე ინსტანციის სასამართლოს მოსამართლედ დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში მიიღება კონკრეტული სასამართლოს საჭიროება, მოსამართლის საცხოვრებელი ადგილი, მისი ჯანმრთელობისა და ოჯახური მდგომარეობა, ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე გავლენა და ა.შ. (მე-5 პუნქტი);

განაცხადის წარდგენის უფლება აქვს საერთო სასამართლოების ნებისმიერ მოსამართლეს. განაცხადი წარდგენილ უნდა იქნეს წერილობითი ფორმით საბჭოში, ოფიციალურ ვებგვერდზე ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 7 დღის ვადაში (მე-8 პუნქტი); საბჭო იხილავს განაცხადებს და იწვევს კანდიდატს გასაუბრებაზე (მე-9 პუნქტი).

სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ შეიძლება დაინიშნოს მოსამართლე, რომელიც თავისი კომპეტენციით, გამოცდილებით, საქმიანი და მორალური რეპუტაციით შეესაბამება სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის მაღალ წოდებას და აქვს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში მოსამართლედ მუშაობის არანაკლებ ხუთი წლის გამოცდილება (მე-11 პუნქტი); მოსამართლეს, რომლის მიმართ დისციპლინური სახდელი გაქარწყლებული არ არის, ეზღუდება ზემდგომი ინსტანციის მოსამართლედ დაწინაურების უფლება (მე-12 პუნქტი);

საბჭოს წევრი გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს მოსამართლის საქმიანობის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს, განხილულ საქმეთა კოეფიციენტების რაოდენობას, დასრულებულ საქმეთა სირთულეს, საქმის განხილვის საპროცესო ვადების დაცვას, გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვას, გადაწყვეტილებათა სტაბილურობას, სამუშაო დისციპლინას, მოსამართლის ავტორიტეტს კოლეგებს შორის, მის მონაწილეობას ახალგაზრდა მოსამართლეებისა და იურისტების მენტორობასა და სწავლებაში, მართლმსაჯულებისა და სამართლებრივი საკითხების განხილვაში მის აქტიურ როლს, მის ორგანიზაციულ ნიჭს, სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას, მისი მხრიდან სამოსამართლო ეთიკისა და პროფესიული სტანდარტების დაცულობას, მისი პროფესიული ზრდის ტენდენციებს და სხვა (მე-14 პუნქტი); ამასთან, ამ მოთხოვნებთან პირის შესაბამისობის დადგენის მიზნით, საბჭოს აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფები საბჭოს წარუდგენენ შესაბამის სტატისტიკურ და სხვა ინფორმაციას. საბჭოს წევრი უფლებამოსილია თავად მოიძიოს პირის შესახებ ინფორმაცია (მე-17 პუნქტი);

მოსამართლის შეფასებისას საბჭო მხედველობაში იღებს „საერთო სასამართლოს მოსამართლის საქმიანობის ეფექტურობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ საბჭოს 2011 წლის 27 დეკემბრის №1/226 გადაწყვეტილების შესაბამისად განხორციელებულ ბოლო 1 წლის საქმიანობის შეფასების შედეგებს (მე-15 პუნქტი);

მოსამართლე უფლებამოსილია - საბჭოს წევრებს წერილობით წარუდგინოს თვითშეფასება და თავისი საქმიანობის სააპელაციო სასამართლოში გაგრძელების მოტივაცია (მე-16 პუნქტი);

საბჭოს წევრი გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს მართლმსაჯულების ინტერესებით; ის ვალდებულია - ამ მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან მოსამართლის შესაბამისობის დადგენისას იხელმძღვანელოს ობიექტურობის, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებით, მხარი დაუჭიროს იმ მოსამართლეს, რომელიც თავისი კვალიფიკაციითა და მორალური თვისებებით სხვებთან შედარებით ყველაზე მეტად შეესაბამება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლის მაღალ წოდებას, არ დაუშვას თვითნებური და დისკრიმინაციული მიდგომის გამოყენება (მე-18 პუნქტი).

აღნიშნულიდან გამომდინარე, გაუგებარია, რატომ მიიჩნევს „კვლევის“ ავტორი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურის რეგლამენტირებას ხარვეზიანად, რადგან კანონით და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით - საბჭოს რეგლამენტით მკაფიოდ და დეტალურად არის განსაზღვრული როგორც პროცედურული ნაწილი, ისე - გადაადგილების ან დაწინაურების მსურველი მოსამართლის შეფასების კრიტერიუმები.

**2.1.2.** არის თუ არა მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციის განმსაზღვრელი კანონმდებლობა ხარვეზიანი? ჩვენი მოსაზრებით, არც აქ არსებობს ხარვეზები, შემდეგ გარემოებათა გამო:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქმეთა წარმოების განსაკუთრებული ინტენსიურობის მქონე რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, სადაც ორზე მეტი მოსამართლეა, საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება განხორციელდეს მოსამართლეთა უფრო ვიწრო სპეციალიზაცია.

„კვლევის“ ავტორიც ეთანხმება იმ რეალობას, რომ თბილისის საქალაქო სასამართლო და თბილისის სააპელაციო სასამართლო საქართველოში ორი ყველაზე დიდი სასამართლოა, სადაც, შესაბამისად, ყველაზე დიდი ოდენობით იყრის თავს განსახილველი საქმეები. ამიტომ, ჯერ კიდევ 2006 წელს, საბჭომ №1/92-2006 გადაწყვეტილებით განხორციელა მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაცია თბილისის საქალაქო სასამართლოს დონეზე. უდავოა, რომ ამ ღონისძიებამ გაამართლა და ხელი შეუწყო ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელებას, რის საფუძველზეც კანონმდებელმა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონში 2018 წლის 7 მარტს განხორციელებული №2034 საკანონმდებლო ცვლილებით, შესაძლებელი გახადა მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაცია სააპელაციო სასამართლოებშიც, კერძოდ: კანონის 23-ე მუხლს დაემატა მე-2<sup>1</sup> პუნქტი, რომლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოში, საბჭოს გადაწყვეტილებით, შეიძლება განხორციელდეს მოსამართლეთა უფრო ვიწრო სპეციალიზაცია. შესაბამისად, საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის №1/175 გადაწყვეტილებით, ასევე განხორციელდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციაც.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი განსაზღვრავს სასამართლოების თავმჯდომარეთა კომპეტენციას. ყურადღებას გავამახვილებთ იმ ნორმებზე, რომელთა საფუძველზეც როგორც თბილისის საქალაქო, ისე - თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეებმა მიიღეს გადაწყვეტილებები - განესაზღვრათ კოლეგიებში/პალატებში მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციის შემადგენლობები, კერძოდ:

ორგანული კანონის 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე *ორგანიზებას უწევს* სასამართლოს მუშაობას; ასევე - 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარე *ორგანიზებას უწევს* სასამართლოს მუშაობას.

გაუგებარია - რატომ სვამს „კვლევის“ ავტორის კითხვის ნიშანს სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილებაზე - საბჭოს მიერ განსაზღვრული ვიწრო სპეციალიზაციების მიხედვით განსაზღვროს მოსამართლეთა შემადგენლობები თითოეულ სპეციალიზაციაში? ცალსახაა ის გარემოება, რომ ეს საკითხი მიეკუთვნება სასამართლოს ფუნქციონირების ორგანიზაციულ მხარეს, რომლის გამართულად უზრუნველყოფა სასამართლოს თავმჯდომარის არამხოლოდ უფლებამოსილება, არამედ - კანონისმიერი ფუნქციაა.

თუმცა, ნათელია „კვლევის“ ავტორის მიზანი - სასამართლოს თავმჯდომარის, როგორც სასამართლოს გამართულად ფუნქციონირების გარანტის როლის და ფუნქციის შესუსტების შესახებ. ამგვარი მისწრაფება კი ცალსახად ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტს, კერძოდ: ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) 2016 წლის 10 ნოემბრის №19(2016) დასკვნას „სასამართლოს თავმჯდომარეების როლი“; ამ დასკვნით ძირითადად გატარებულია სწორედ ის ხაზი, რომ ევროპის ქვეყნებში შეინიშნება სასამართლოს თავმჯდომარის, როგორც მენეჯერის როლის არათუ დასუსტების, არამედ - გაძლიერების ტენდენცია იმისათვის, რათა სასამართლოს მიერ მიწოდებული მომსახურება, ანუ - მართლმსაჯულების ადმინისტრირება იყოს უკეთესი (იხ: 24-ე პუნქტი); რომ სასამართლოს თავმჯდომარეები პასუხისმგებლები არიან სასამართლოს საქმიანობაზე; ძალიან მნიშვნელოვანია, მათ გააჩნდეთ აუცილებელი უფლებამოსილებები და რესურსები ამ ამოცანის ეფექტიანად შესასრულებლად (იხ: 27-ე პუნქტი).

აღნიშნულიდან გამომდინარე, მივიჩნევთ, რომ სწორედ სასამართლოს თავმჯდომარეა ერთმნიშვნელოვნად უფლებამოსილი - განსაზღვროს ვიწრო სპეციალიზაციებში მოსამართლეთა შემადგენლობები და კითხვის ნიშნები ამ საკითხზე ვერ იარსებებს.

„კვლევის“ ავტორის მითითება რაღაც გაურკვეველ რისკებზე, რომ სასამართლოს თავმჯდომარეები ამ უფლებამოსილებას ბოროტად გამოიყენებენ, დაუსაბუთებელია, რადგან „კვლევის“ ავტორი ვერ ასახელებს ამ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ერთ პრეცედენტსაც.

**2.1.3. არის თუ არა მოსამართლეთა მორიგეობის განმსაზღვრელი კანონმდებლობა და პრაქტიკა ხარვეზიანი?** ჩვენი მოსაზრებით, ხარვეზები არც ამ კუთხით არსებობს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საბჭოს 2017 წლის 1 მაისის №1/56 გადაწყვეტილებით დამტკიცდა „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესი“.

ამ წესის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საერთო სასამართლოებში საქმეები ნაწილდება მოსამართლეთა სპეციალიზაციის მიხედვით; გამონაკლისია *მორიგეობის* დროს გასანაწილებელი საქმეები.

რატომ გახდა აუცილებელი მორიგეობის დაწესება რაიონული (საქალაქო) სასამართლოს დონეზე? ამ კითხვაზე, ფაქტობრივად, პასუხია გაცემული აღნიშნული წესის მე-4 მუხლის მე-12 პუნქტით: საჭიროების შემთხვევაში, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის ცალკეულ საქმეებზე, რომელთა განხილვის ვადა არ აღემატება 72 საათს, სასამართლოს



თავმჯდომარის ბრძანებით დგინდება მორიგეობა და არასამუშაო და სამუშაო საათებში აღნიშნული საქმეები ნაწილდება მოსამართლეთა მორიგეობის გრაფიკის მიხედვით.

ამდენად, არსებობს საქმეები, რომელთა განხილვაც, კანონმდებლობის შესაბამისად, უნდა მოხდეს განსაკუთრებით შემჭიდრობულ ვადებში, რადგან სადავო საკითხები უკავშირდება კონსტიტუციური უფლებების (თავისუფლების, მიმოსვლის და სხვ) შეზღუდვას. ამგვარი საქმეების სასამართლოში შემოსვლის თარიღების და დროის წინასწარი პროგნოზირება შეუძლებელია. ამიტომ, იმისათვის, რათა ეს საქმეები მოსამართლემ განიხილოს კანონით განსაზღვრულ ვადაში, აუცილებელია - მას იმ მომენტში არ ჰქონდეს დანიშნული სხვა კატეგორიის (მაგ: სასარჩელო დავა და სხვ) საქმის განხილვა, რათა არ მოუწიოს არჩევანის გაკეთება ამ ორი საქმის განხილვას შორის. ასეთი შეუთავსებლობა თავიდან რომ ყოფილიყო აცილებული, სწორედ ამით იყო განპირობებული მორიგეობის ინსტიტუტის შემოტანა სასამართლოში; ვინაიდან მორიგეობის გრაფიკი განისაზღვრება წინასწარ, თვის დასაწყისშივე, ყველა მოსამართლისათვის ცნობილია - რომელ კონკრეტულ დღეს მოუწევს მას მორიგეობა, რის გამოც მორიგეობის დღეს იგი სხვა კატეგორიის საქმის განხილვას აღარ დანიშნავს.

თავად „კვლევის“ ავტორიც მიუთითებს იმ წესზე და კრიტერიუმებზე, რომლის საფუძველზეც განისაზღვრება მორიგეობის გრაფიკები, ესენია: გრაფიკის ყოველთვიურად და წინასწარ შედგენა, მოსამართლეთა ანბანური რიგითობით ან მათივე შეთანხმებით, მათი სამუშაო გრაფიკის, საპროცესო დღეების, შვებულებისა თუ მივლინების გათვალისწინებით (იხ: „კვლევის“ მე-17 გვერდის ბოლო აბზაცი).

ამდენად, ჩვენთვის გაუგებარია, რატომ მიიჩნევს „კვლევის“ ავტორი მორიგეობის გრაფიკის შედგენის ამგვარ პრაქტიკას ხარვეზიანად, რადგან, როგორც ირკვევა, გრაფიკი დგება ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით, რაციონალურად და სამართლიანად, ისე, რომ ხელი არ შეემალოს მართლმსაჯულების განხორციელებას განურჩევლად ყველა კატეგორიის საქმეზე.

მიზანშეწონილია, აქვე გაეცეს პასუხი „კვლევის“ ავტორის მითითებას იმის შესახებ, რომ პრობლემურია დღის განმავლობაში მხოლოდ 1 მოსამართლის მორიგეობა, რაც საქმეთა შემთხვევითი განაწილების პრინციპს გამორიცხავს. ჩვენი მოსაზრებით, ის ფაქტი, რომ მორიგეობის გრაფიკი დგება წინასწარ, ყოველი თვის დასაწყისში და მორიგეობით განსახილველ საქმეთა სასამართლოში შემოსვლის კონკრეტული დღის პროგნოზირება შეუძლებელია, უზრუნველყოფს ამ საქმეთა შემთხვევით განაწილებას წინასწარ, ამ საქმეთა შემოსვლამდე (და არა შემოსვლის შემდგომ) განსაზღვრულ მორიგე მოსამართლეზე. თანაც, საქართველოს სასამართლოებში საქმეთა გადატვირთულობის პრობლემის პირობებში, ყოველ დღე თითოეულ სასამართლოში 2 ან მეტი მოსამართლის მორიგეობა ხელს შეუშლის სხვა კატეგორიის საქმეებზე ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელებას.

**2.2.** აღნიშნულია, რომ *კონკურსი არ ცხადდება სათანადო სიხშირით; სასამართლო სისტემა ჩაკეტილია (2018 წლის კონკურსის შედეგად მხოლოდ 3 ახალი მოსამართლე დაინიშნა; ვაკანტურ თანამდებობათა უმრავლესობა მოქმედმა მოსამართლეებმა დაიკავეს, რომლებიც უვადოდ გადაინიშნენ თანამდებობაზე; ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიები/პალატები „სანდო“ მოსამართლეებით დაკომპლექტდა.*

სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოებში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის ორგანიზების წესი განსაზღვრულია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35-ე-36-ე მუხლებით. აღსანიშნავია, რომ გამოცხადებული კონკურსის დასრულების კონკრეტულ ვადას კანონი არ

ითვალისწინებს. საყურადღებოა, რომ 35-ე მუხლის მე-15 პუნქტის თანახმად, თუ კონკურსის საფუძველზე ვერ მოხდა მოსამართლის ყველა ვაკანტური თანამდებობის დაკავება, საბჭო კონკურსის შედეგების გამოცხადებიდან 3 თვის ვადაში, ამ მუხლით დადგენილი წესით აცხადებს ახალ კონკურსს.

დადგენილია, რომ 2018 წლის 30 ივლისს გამოცხადებული კონკურსი საბჭომ დაასრულა 2019 წლის 24 მაისს. საბჭოს, გარდა კონკურსის ორგანიზებისა, მითითებულ პერიოდში სხვა მნიშვნელოვანი ფუნქციების შესრულებაც უწევდა (მაგ: სხვადასხვა სამუშაო ჯგუფების ფორმატში მონაწილეობა სასამართლო რეფორმის მომზადება-განხორციელებისათვის საკანონმდებლო წინადადებების შემუშავების მიზნით; სასამართლო სისტემის სტრატეგიის იმპლემენტაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება და სხვ), რის გამოც კონკურსის დასრულება მცირე ვადებში ვერ მოხერხდა.

რაც შეეხება 2019 წლის 24 მაისიდან 2020 წლის 26 ივნისამდე პერიოდში კონკურსის გამოუცხადებლობას. 2019 წლის 1 მაისს საქართველოს პარლამენტმა განახორციელა ცვლილებები „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში, რომლითაც ფუნდამენტურად შეიცვალა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა თანამდებობაზე გამწესების წესი; ჩამოყალიბდა უპრეცედენტოდ ღია, გამჭვირვალე პროცედურა, რომლის ერთ-ერთ ძირითად ეტაპს წარმოადგენდა საბჭოს მიერ კანდიდატებთან საჯარო მოსმენის (გასაუბრების) ორგანიზება, მათი საქართველოს პარლამენტის წინაშე ნომინირების მიზნით. ამ პროცედურის ორგანიზებამ მოითხოვა საბჭოს წევრთა დიდი დრო და ენერჯია: მრავალი დღის განმავლობაში ჩატარდა 50 კანდიდატის საჯარო მოსმენა, ხშირად თითოეულთან 5-7 საათის ხანგრძლივობითაც კი, რადგან საზოგადოების ინტერესი ამ ისტორიული პროცესისადმი განუზომლად დიდი იყო. ამ პროცესს მოჰყვა 2020 წლის იანვარ-თებერვალში ახალ კორონავირუსთან დაკავშირებული შემზღუდავი რეჟიმის დაწესება, მარტიდან კი პრაქტიკულად საყოველთაო კარანტინის დაწესება, საქართველოში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების გზით, რომელიც დასრულდა 2020 წლის 23 მაისს. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული შემზღუდავი, პრევენციული ღონისძიებები ქვეყანაში მაინც ხორციელდებოდა, საბჭომ 26 ივნისს კონკურსი გამოაცხადა მოსამართლის 99 ვაკანტურ თანამდებობაზე და იგი დაასრულა 18 ნოემბერს, რომლის შედეგადაც სისტემაში დაინიშნა 24 ახალი მოსამართლე, სისტემაში დაბრუნდა 8 ყოფილი მოსამართლე და უვადოდ გამწესდა თანამდებობაზე 4 მოქმედი მოსამართლე.

აუცილებლად უნდა გამოვეხმაუროთ 2018 წლის კონკურსის შედეგების „კვლევის“ ავტორისეულ შეფასებას, კერძოდ: იგი გამოთქვამს პრეტენზიას, რომ ვაკანტურ თანამდებობათა უმრავლესობა მოქმედმა მოსამართლეებმა დაიკავეს, რომლებიც უვადოდ გადაინიშნენ თანამდებობაზე.

პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ კონკურსში მონაწილეობდნენ მოქმედი მოსამართლეები, ე.ი. - გამოცდილი, კეთილსინდისიერების და კვალიფიკაციის მაღალი დონის მქონე კანდიდატები, მათ ბუნებრივად გააჩნდათ უპირატესობა ყოფილ მოსამართლეებთან ან სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატებთან მიმართებით. ამიტომ, საბჭოს გადაწყვეტილებები კონკურსში გამარჯვებულად სწორედ მოქმედ მოსამართლეთა გამოცხადების და მათი თანამდებობებზე უვადოდ გამწესების შესახებ კანონიერი და დასაბუთებულია.

მეორე, აშკარაა, რომ „კვლევის“ ავტორი კონკურსის შედეგად მოქმედ მოსამართლეთა გადაინიშნას უვადოდ ფაქტობრივად უარყოფით კონტექსტში იხსენიებს, რაც აბსოლუტურად გაუგებარია: ყველა ავტორიტეტული სამართლებრივი ინსტიტუტი

(ვენეციის კომისია, ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო და სხვ) აღიარებს, რომ მოსამართლის უვადოდ გამწესება თანამდებობაზე მისი დამოუკიდებლობის ძირითადი გარანტიაა. თავად „კვლევის“ ავტორი, „კვლევის“ მომდევნო ნაწილებში, საარჩევნო დავების განსახილველად 3 წლის ვადით დანიშნული მოსამართლეების მონაწილეობას მიზანშეწონლად მიიჩნევს, ვინაიდან ისინი „მოწყვლადნი“ არიან და გააჩნიათ დამოუკიდებლობის გარკვეულწილად დაბალი ხარისხი, რის გამოც არსებობს რისკი მათ მიერ მმართველი პოლიტიკური პარტიის და „კლანის“ სასარგებლო გადაწყვეტილებების გამოტანისა (იხ: „მოსამართლეთა გადაადგილება ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიებში/პალატებში კონკურსის წესით“, ბოლო აბზაცი). ამდენად, სახეზეა „კვლევის“ ავტორი აშკარად წინააღმდეგობრივი პოზიცია.

**2.3.** აღნიშნულია, რომ ხარვეზიანი კანონმდებლობის საფუძველზე, სასამართლოს თავმჯდომარე ერთპიროვნულად განსაზღვრავს რა ადმინისტრაციულ საქმეთა პალატებში/კოლეგიებში მოსამართლეთა შემადგენლობას და მასზევა დამოუკიდებელი, თუ რამდენად ხშირად შეიცვლება ეს შემადგენლობა, არსებობს მაღალი რისკი, რომ საარჩევნო დავების განმხილველი ვიწრო სპეციალიზაციები ნებისმიერ დროს, მათ შორის, არჩევნების წინა დღესაც, დაკომპლექტდეს ისეთი მოსამართლეებით, რომლებიც, სახელმწიფოს მხრიდან არაჯანსაღი ინტერესის შემთხვევაში, ამ უკანასკნელის სასარგებლო გადაწყვეტილებებს მიიღებენ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს მაგალითი ცხადყოფს, რომ საარჩევნო დავების ვიწრო სპეციალიზაციას მიკუთვნებულ მოსამართლეთა უმრავლესობა, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში სწორედ საკვლევ პერიოდში განწესდა, კერძოდ: უკონკურსო მიგრაცია ინტენსიური იყო 2019 წლის მაისიდან 2020 წლის ივლისის ჩათვლით; პროცესის 1 წლით ადრე დაწყება შესაძლოა „კვალის დაფარვის მიზნით“ დაიწყო, რათა მასშტაბური გადაადგილება არჩევნების პერიოდიდან მაქსიმალურად აერიდებინათ. ამასთან, ეს გადაადგილებები უმეტესად თბილისის საქალაქო, სააპელაციო და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებში განხორციელდა, რადგან აქ საარჩევნო დავები მეტია და მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფისათვის მნიშვნელოვანი იყო ამ სასამართლოებში ლოიალური მოსამართლეების გადაყვანა. ასევე - თითქმის ყველა მოსამართლის სახელი უკავშირდება გახმაურებულ საქმეებს, რაც არჩევნების კონტექსტში განსაკუთრებით საგანგაშოა.

განმეორებით და ხაზგასმით ვაცხადებთ, რომ „კვლევით“ შერჩეული პერიოდი - 2019 წლის მაისიდან 2020 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით - აბსოლუტურად ხელოვნურად იდენტიფიცირებულ პერიოდად ისახება, რადგან არავითარი ობიექტური კრიტერიუმი „კვლევაში“ დასახელებული არ არის, თუ რატომ იქნა არჩეული მინცდამინც ეს პერიოდი და რატომ არა უფრო ადრინდელი თარიღი (ვთქვათ - 2015 წელი, როცა, მაგალითად, გიორგი ტყავაძე გამწესდა სააპელაციო სასამართლოში). იქმნება შთაბეჭდილება, რომ 2019 წლიდან ობიექტური საჭიროებით განპირობებული მოსამართლეთა გადაადგილებები „კვლევის“ ავტორმა ხელოვნურად დაუკავშირა 2020 წლის 31 ოქტომბრისთვის დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებს, აბსურდული ლოგიკით, რომ წელიწადნახევრით ადრე მოსამართლეთა „მიგრაციის“ დაწყება გამიზნული იყო „კვალის დასაფარად“.

რაც შეეხება ობიექტურ რეალობას, როგორც უკვე აღინიშნა, 2019 წლის მაისიდან საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა თანამდებობაზე გამწესების პროცედურის ორგანიზების აუცილებლობის და მიმდინარეობის გამო, საბჭომ ველარ შეძლო სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის ორგანიზება და იძულებული გახდა - მიემართა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლით

გათვალისწინებული პროცედურისათვის, რათა გადაეჭრა სხვადასხვა სასამართლოში საქმეთა გადატვირთულობიდან გამომდინარე არსებული, განსაკუთრებით მძიმე და გადაუდებელი პრობლემები.

თავად „კვლევის“ ავტორის ლოგიკას თუ გავყვებით, თბილისის საქალაქო სასამართლოში და თბილისის სააპელაციო სასამართლოში ყველაზე ბევრი საარჩევნო დავა იყრის თავს; ამდენად გაუგებარია, რატომ იწვევს მის ექვს ის ფაქტი, რომ სხვა სასამართლოებთან შედარებით სწორედ ეს ორი სასამართლო ბუნებრივად საჭიროებს მოსამართლეთა უფრო მეტ კონცენტრაციას, თუნდაც აღნიშნული საარჩევნო დავების დროულად და ეფექტურად განხილვის მიზნით, რადგან ცნობილია, რომ საარჩევნო დავების განხილვის ვადები ორივე ინსტანციის სასამართლოში ძალიან შემჭიდროებულია, მოიცავს მხოლოდ 1-2 დღეს. ცხადია, რომ ეს კანონზომიერება მხოლოდ საარჩევნო დავების მიმართ არ არსებობს, რადგან ზოგადად ყველა კატეგორიის საქმე აღნიშნულ ორ სასამართლოში ასევე ყველაზე დიდი ოდენობით იყრის თავს, ვიდრე საქართველოს ნებისმიერ სხვა სასამართლოში.

აბსოლუტურად დაუსაბუთებელია „კვლევის“ ავტორის მითითება „მიგრირებული“ მოსამართლეების „მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფისადმი“ ლოიალობის შესახებ. ერთის მხრივ, არაერთგზის აღნიშნა ის გარემოება და ფაქტი, რომ ამგვარი „გავლენიანი ჯგუფი“ არ არსებობს და, შესაბამისად, ლოიალობის ფაქტიც ვერ იარსებებს; მეორეს მხრივ კი, „კვლევის“ ავტორიც კი არ ხდის სადავოდ აღნიშნულ მოსამართლეთა კვალიფიკაციას და უნარს - ეფექტიანად განეხილვიან მართლმსაჯულება საქართველოში ყველაზე უფრო დატვირთულ ორ სასამართლოში.

რაც შეეხება, მითითებას „გახმაურებულ საქმეებზე“, კვლევის ავტორი უბრალოდ აპელირებს ე.წ. „გახმაურებულ საქმეებზე“ და ვერ უთითებს ვერც ერთ არგუმენტს ან ფაქტს მოსამართლის მხრიდან რაიმე დარღვევის არსებობის შესახებ, ხოლო მოსამართლეთა მხრიდან ე.წ. გახმაურებული საქმეების განხილვა, თავისთავად არ წარმოადგენს და ვერც იქნება მოსამართლის დაწინაურების დამაბრკოლებელი გარემოება, უფრო მეტიც, მოსამართლე ვალდებულია განიხილოს მისთვის გადაცემული ნებისმიერი საქმე, მიუხედავად მის მიმართ არსებული ინტერესისა.

აქვე, გვსურს წარმოგიდგინოთ ინფორმაცია საკვლევ პერიოდში საქართველოს სამი ყველაზე დიდი სასამართლოს მაგალითზე:

#### **ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში:**

**ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში** სხვა სასამართლოებიდან ან სხვა პალატიდან გადავიდა **3 მოსამართლე**; ხოლო **ამ პალატიდან** სხვა სასამართლოში გადავიდა **2 მოსამართლე**.

**სამოქალაქო საქმეთა პალატაში** სხვა სასამართლოებიდან გადავიდა **3 მოსამართლე**; ხოლო **ამ პალატიდან** სხვა სასამართლოში გადავიდა **2 მოსამართლე**.

ამდენად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მაგალითზე ირკვევა, რომ მოსამართლეთა შემადგენლობების ცვლილებები („მიგრაციები“) არ უკავშირდებოდა მხოლოდ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და იგი ხორციელდებოდა სამოქალაქო საქმეთა პალატაშიც. საყურადღებოა, რომ ცვლილებები საერთოდ არ შეხებია სისხლის სამართლის საქმეთა პალატას, მარტივი მიზეზის გამო: მასში გამწესებული 6 მოსამართლე სრულებით უმკლავდებოდა საქმეთა სიმრავლეს.

#### **თბილისის სააპელაციო სასამართლოში:**

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში სხვადასხვა სასამართლოებიდან ან სხვა პალატებიდან გადავიდა 12 მოსამართლე, ხოლო ადმინისტრაციულ საქმეთა პალატიდან სხვაგან გადავიდა ან უფლებამოსილება შეუწყდა 6 მოსამართლეს.

სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში სხვადასხვა სასამართლოებიდან გადავიდა 8 მოსამართლე, ხოლო სისხლის სამართლის საქმეთა პალატიდან სხვაგან გადავიდა ან უფლებამოსილება შეუწყდა 4 მოსამართლეს.

სამოქალაქო საქმეთა პალატაში სხვადასხვა სასამართლოებიდან ან პალატებიდან გადავიდა 15 მოსამართლე, ხოლო სამოქალაქო საქმეთა პალატიდან სხვაგან გადავიდა ან უფლებამოსილება შეუწყდა 6 მოსამართლეს.

ამდენად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მაგალითზე ირკვევა, რომ მოსამართლეთა შემადგენლობების ცვლილებები („მიგრაციები“) შეეხო არამხოლოდ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, არამედ - ყველა პალატას და საგამომიებო კოლეგიას. ცვლილებები განპირობებული იყო ობიექტური აუცილებლობით - საქმეთა სიმრავლის პრობლემასთან გასამკლავებლად. ჯერ მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ 2019 წლის 13 დეკემბერს უფლებამოსილება ერთბაშად შეუწყდა 6 მოსამართლეს, რომელთაგან 2 იყო ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის, 3 სამოქალაქო საქმეთა პალატის და 1 - საგამომიებო კოლეგიის მოსამართლე. საერთო ჯამში, საკვლევ პერიოდში უფლებამოსილება შეუწყდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 11 მოსამართლეს. ამ დანაკლისის შევსება, რაღა თქმა უნდა, აუცილებელი იყო. ყველაზე მეტი ცვლილება განიცადა სამოქალაქო საქმეთა პალატამ, რაც თავის მხრივ, ცხადად მიუთითებს იმაზე, რომ გადაადგილებები განპირობებული იყო სწორედ საქმეთა სიმრავლის პრობლემის დასაძლევად, რადგან საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ სამოქალაქო საქმეები რაოდენობრივად აჭარბებს დანარჩენი სპეციალიზაციების საქმეებს.

**თბილისის საქალაქო სასამართლოში:**

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სხვა სასამართლოებიდან ან კოლეგიებიდან გადავიდა 10 მოსამართლე, ხოლო სხვა სასამართლოში/კოლეგიაში გადავიდა ან უფლებამოსილება შეუწყდა 11 მოსამართლეს.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში სხვა სასამართლოებიდან ან კოლეგიებიდან გადავიდა 14 მოსამართლე, ხოლო სხვა სასამართლოში/კოლეგიაში გადავიდა ან უფლებამოსილება შეუწყდა 14 მოსამართლეს.

სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში სხვა სასამართლოებიდან ან კოლეგიებიდან გადავიდა 7 მოსამართლე, ხოლო სხვა სასამართლოში/კოლეგიაში გადავიდა ან უფლებამოსილება შეუწყდა 10 მოსამართლეს; 2 მოსამართლე 3-თვენახევრის განმავლობაში მივლინებული იყო მცხეთის რაიონულ სასამართლოში.

ეს მონაცემებიც ნათლად მეტყველებს, რომ ყველაზე მეტი ცვლილება ისევ სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას განუცდია, რაც, თავისთავად, იმ ფაქტს ადასტურებს, რომ ცვლილებები ორიენტირებული იყო საქმეთა სიმრავლის პრობლემის დაძლევისკენ.

**3. შენიშვნები „კვლევის“ ნაწილზე „საარჩევნო დავების განმხილველი ვიწრო სპეციალიზაცია“:**

3.1. კვლევაში აღნიშნულია, რომ „სამწუხაროდ“, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, ძნელად თუ მოიძებნება ისეთი არჩევნები, რომელსაც თან არ ახლდა გახმაურებული სასამართლო დავები, რომლებშიც მოსამართლეებმა მიკერძოებული გადაწყვეტილებები მიიღეს.

როგორც უკვე განვმარტეთ, საქმისათვის „გახმაურებულის“ სტატუსის მინიჭება თავისთავად არ განაპირობებს დასკვნას, რომ მოსამართლემ მიკერძოებული გადაწყვეტილება მიიღო. უმნიშვნელოვანესია, არ დადასტურდეს მოსამართლის მხრიდან სასამართლოს დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის პრინციპების რეალური დარღვევა, კონკრეტულ ფაქტებზე მითითებით. ამგვარ მითითებას კი „კვლევა“ არ შეიცავს და შემოიფარგლება მხოლოდ ზოგადი შეფასებით, რაც გაზიარებული ვერ იქნება.

**3.2.** აღნიშნულია, რომ *მოსამართლეთა შორის საქმეთა ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილებაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ კანონმდებლობასთან ერთად, პრობლემურია თავად განაწილების სისტემის ტექნიკური მხარე, შეიცავს ხარვეზებს და ტოვებს გარე ჩარევების შესაძლებლობას.*

ეს მითითება, თავის მხრივ, დაეფუძნა იმავე ააიპ საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის მიერ 2018 წელს მომზადებულ ანგარიშს „საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილების ახალი სისტემის სამართლებრივი და ტექნიკური ანალიზი“. ამ ანგარიშზე საბჭომ წარადგინა დასაბუთებული მოსაზრება და აქ, მოკლედ, კვლავ განვმეორდებით: კვლევაში არსებული მითითება Hard Lock პროგრამის მთავარი მოდულის დაუცველობასთან დაკავშირებით არ შეესაბამება რეალობას. აღსანიშნავია, რომ არსებული კოდის უსაფრთხოების საკითხის გადაწყვეტა დაფუძნებულია შიდა პროცედურებისა და პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის დანაწევრებული გარემოს გამოყენებაზე. გასათვალისწინებელია, რომ სასამართლოში პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის პროცესში არსებობს პროდუქტის შექმნის სატესტო და საწარმოო გარემო. სწორედ ამ ეტაპების გამოყენების შედეგად ხორციელდება ახალი ან განახლებული პროგრამული უზრუნველყოფის გამოქვეყნება. მიმდინარეობს მუშაობა პროცესის დახვეწისა და მისი უსაფრთხოების კიდევ უფრო გაუმჯობესებაზე. უახლოეს მომავალში იგეგმება IT სამსახურის, IT-ის მმართველობითი მოდელის რეორგანიზება, ხოლო შემდეგ ეტაპზე სასამართლო სისტემაში ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის მოდელის დანერგვა, რაც უკვე სისტემურად უზრუნველყოფს ინფორმაციულ უსაფრთხოებას.

**3.3.** აღნიშნულია, რომ *2018 წლის 30 აპრილამდე ვიწრო სპეციალიზაცია მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოში იყო, ხოლო 30 აპრილიდან, საბჭოს გადაწყვეტილებით, ისინი თბილისის სააპელაციო სასამართლოშიც შეიქმნა. ამ გადაწყვეტილებების მიხედვით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში 5 ვიწრო სპეციალიზაცია განისაზღვრა, რომელთაგან ოთხში საარჩევნო დავებიც შედიოდა, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოში - 3 კატეგორია, რომელთაგან ორი საარჩევნო დავებს მოიცავდა. თუმცა, საბჭოს 2020 წლის 11 აგვისტოს №9 და №10 დადგენილებების მიხედვით, საარჩევნო დავები ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის/პალატის მხოლოდ პირველი კატეგორიის სპეციალიზაციის მოსამართლეების განსახილველი გახდა. შესაბამისად, დავიწროვდა საარჩევნო დავების განმხილველ მოსამართლეთა წრე, რამაც ხელი შეუწყო მოსამართლეთა გავლენიან ჯგუფს და საარჩევნო დავების კატეგორიის ლოიალური მოსამართლეებით დაკომპლექტება უფრო გაუმარტივა.*

სამწუხაროდ, „კვლევის“ ავტორი აქაც დაუსაბუთებელ ვარაუდებს და თეორიებს ავითარებს, რადგან საბჭოს 2020 წლის 11 აგვისტოს №9 და №10 დადგენილებებს 2 მიზანი ჰქონდა: 1) ვიწრო სპეციალიზაციების „ა“ კატეგორიაში თავი მოეყარა ყველა დავას, რომელიც შეეხებოდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების შემოწმებას; ამ მიზნით, არა მხოლოდ საარჩევნო დავები (რადგან, საქართველოს საარჩევნო კოდექსის 70-ე მუხლის თანახმად, არჩევნების დღეს გამართული კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;

ამიტომ, თუ დაინტერესებულ პირს სურს - გაასაჩივროს არჩევნების შედეგები, იგი სწორედ აღნიშნულ ოქმს ასაჩივრებს და ითხოვს მის შესწორებას, ან ბათილად ცნობას), არამედ - საგადასახადო დავებიც და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII<sup>6</sup> თავით („ადმინისტრაციული სამართალწარმოება საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან ან თავშესაფრის მიცემასთან დაკავშირებით“) გათვალისწინებული დავებიც სრულად დაექვემდებარა განსახილველად მხოლოდ „ა“ კატეგორიის ვიწრო სპეციალიზაციას, რადგან შექმნის დღიდან სწორედ კატეგორიას დაექვემდებარა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერებასთან დაკავშირებული დავები; 2) საარჩევნო დავები ხასიათდება განსაკუთრებული სპეციფიკით, რის გამოც მოითხოვს მოსამართლეების გარკვეულწილად სპეციალურ დატრენინგებას, რათა მათ შეძლონ - უკიდურესად შემჭიდროებულ ვადებში (საარჩევნო კოდექსის 77-ე მუხლის თანახმად, 1-2 დღეში) ამ დავებზე მართლმსაჯულების სწორად და ეფექტიანად განხრციელება; სწორედ ამიტომაცაა, რომ ყოველი არჩევნების წინ, ხდება საარჩევნო დავების განსახილველად მოსამზადებელი ტრენინგების დაგეგმვა და განხორციელება, რაშიც, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს სკოლასთან ერთად, მონაწილეობენ უცხოური დონორი ორგანიზაციებიც (მაგ: საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი (IFES)).

ამდენად, სწორედ ეს გარემოება (და არა რაღაც გაურკვეველი „ლოიალურობა“) თავისთავად, ობიექტურად განაპირობებს საარჩევნო დავების განსახილველად სპეციალიზებული მოსამართლეების გუნდის შექმნას. ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭომ (CCJE) ცალკე დასკვნაც კი მიუძღვნა მოსამართლეთა სპეციალიზაციის საკითხს (№15(2012; 13.11.2012 წ.), რომლითაც მოსამართლეთა სპეციალიზაცია ჩაითვალა კანონზომიერ მოვლენად სამართლის განვითარების კვალდაკვალ, ოღონდ - იმ პირობით, რომ სპეციალიზებული მოსამართლეები და სასამართლოები მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში უნდა იქნან შემოღებულნი კანონმდებლობის ან ფაქტების სირთულიდან, ან სპეციფიკიდან გამომდინარე და მართლმსაჯულების ჯეროვანი ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით<sup>2</sup>.

როგორც უკვე აღინიშნა, საარჩევნო დავების სპეციფიკამ ობიექტურად გამოიწვია მოსამართლეთა სპეციალიზაციის საჭიროება, რაც განხორციელდა კიდეც საბჭოს მიერ. ამიტომ, „კვლევის“ ავტორის დასკვნა „ა“ კატეგორიის ვიწრო სპეციალიზაციის (ანუ - მათ შორის საარჩევნო დავების განმხილველი) „ლოიალური“ მოსამართლეებით დაკომპლექტების შესახებ აბსურდულია.

#### **4. შენიშვნები „კვლევის“ ნაწილზე „მოსამართლეთა გადაადგილება ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიებში/პალატებში კონკურსის წესით“:**

4.1. „კვლევის“ ამ ნაწილში არსებულ დასკვნებზე მოსაზრებები უკვე დაფიქსირებული არის „ძირითადი მიგნებების“ ნაწილზე შენიშვნების სახით, კერძოდ: არასათანადო სიხშირით კონკურსების გამოცხადებასთან დაკავშირებით (2018 წლის კონკურსის შედეგების და 2019 წელს კონკურსის გამოუცხადებლობის შესახებ) შეგიძლიათ იხილოთ 2.2 პუნქტი;

4.2. რაც შეეხება 3 წლის ვადით დანიშნული მოსამართლეების „მოწყვლადობას“. თუ გავყვებით „კვლევის“ ავტორის ლოგიკას, გამოდის, რომ ამგვარი წესით გამწესებულმა მოსამართლეებმა საერთოდ აღარ უნდა განიხილონ ადმინისტრაციული საქმეები, რადგან ამგვარ საქმეებში ყოველთვის პოზიციონირებს სახელმწიფო ხელისუფლების ან

<sup>2</sup> <https://rm.coe.int/-ccje-15-2012-/1680747465>

ადგილობრივი თვითმმართველობის რომელიმე ორგანო, სხვადასხვა საჯარო ინტერესი და, ამიტომ, ისინი მთელი ამ 3 წლის განმავლობაში იქნებიან „მოწყვლადნი“, რაც აბსურდია; პირიქით, ამ ვადის განმავლობაში მოსამართლეს უნდა მიეცეს საკუთარი უნარების ფართოდ გამოვლენის შესაძლებლობა, რათა მისი უვადოდ გამწესების გადაწყვეტილების მიღებისას, საბჭოს ჰქონდეს ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა, მათ შორის - იმ თვალსაზრისითაც, რამდენად პრინციპულია მოსამართლე, შესწევს თუ არა უნარი გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მისაღებად და არის თუ არა ზეგავლენის მიმართ მედეგი, პიროვნულად მტკიცე და შეუვალი (იხ: „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35<sup>1</sup> მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის - დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებლის ლეგალური დეფინიცია). შესაბამისად, 3 წლის ვადით დანიშნული მოსამართლის მიერ საარჩევნო დავის განხილვა, თუ მას გავლილი აქვს ზემოთ უკვე აღნიშნული ტრენინგი, ცალსახად კანონშესაბამისია და ავტორის შეფასება აბსოლუტურად დაუსაბუთებლად აყენებს ზიანს 3 წლის ვადით დანიშნულ მოსამართლეთა დამოუკიდებლობას და მიუკერძოებლობას.

## 5. შენიშვნები „კვლევის“ ნაწილზე „მოსამართლეთა გადაადგილება ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიებში/პალატებში უკონკურსოდ“:

5.1. „კვლევის“ ამ ნაწილზე კვლავაც რელევანტურია მოსაზრებები, რომელიც დაფიქსირდა 2.2 პუნქტში (კონკურსის გამოუცხადებლობისა და მოსამართლეთა უკონკურსოდ გადაადგილების მიზეზების შესახებ);

5.2. „კვლევის“ ავტორი უთითებს, რომ უკონკურსო გადაადგილებების შედეგად, საერთო ჯამში 20 მოსამართლე გამწესდა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიებსა და პალატებში. ყურადღებას გავამახვილებთ რამდენიმე საკითხზე:

5.2.1. „კვლევის“ მიზანი, როგორც თავად ავტორმა აღნიშნა, არის იმ მოსამართლეთა გადაადგილებებზე ფოკუსირება, ვისაც მოუწევდა საარჩევნო დავების განხილვა (იხ: „კვლევის“ მე-11 გვერდის 1-ლი აბზაცი). „კვლევის“ ამ ნაწილში კი იმ მოსამართლეებზეა მითითება, რომელთაც საარჩევნო დავების განხილვაში მონაწილეობა საერთოდ არ მიუღიათ (მაგ: ნათია მერაბიშვილი; ლელა ჭინჭარაული; ნინო შარაძე; ვლადიმერ კაკაბაძე; ლევან მიქაბერიძე; ლაშა თავართქილაძე; ინგა კვაჭანტირაძე);

5.2.2. ამასთან, როგორც აღინიშნა, „კვლევის“ ავტორი 3 წლის ვადით დანიშნულ მოსამართლეებს „მოწყვლად“ ჯგუფს მიაკუთვნებს; ალბათ სწორედ ამიტომ, „კვლევაში“ მოხსენიებულია ნათია მერაბიშვილი, როგორც ამ ჯგუფის წევრი. თუმცა, „კვლევის“ ავტორის არასიღრმისეულ დამოკიდებულებას საკითხისადმი ადასტურებს ეს ფაქტობრივი შეცდომა: ნათია მერაბიშვილი არ არის 3 წლის ვადით დანიშნული მოსამართლე<sup>3</sup>.

5.2.3. მოსამართლე დიმიტრი გვრიტიშვილთან დაკავშირებით „კვლევის“ ავტორმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ეს მოსამართლე, თბილისის სააპელაციო სასამართლოში გადმოყვანამდე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში მხოლოდ 2 თვის გამწესებული იყო და მანამდე იხილავდა სამოქალაქო საქმეებს. ამით „კვლევის“ ავტორმა ფაქტობრივად ეჭვი გამოთქვა - რამდენად კომპეტენტური იქნება ეს მოსამართლე ადმინისტრაციულ საქმეთა განსახილველად. თუმცა რატომღაც, „კვლევის“ ავტორს „გამორჩა“ ის გარემოება, რომ დიმიტრი გვრიტიშვილი დანიშნვის დღიდან 4 წლის

<sup>3</sup> <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2019%20-%20gadawyvetilebebi/110.pdf>



განმავლობაში (2008-2012 წლები) სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებდა საქართველოს ყველაზე დიდ და დატვირთულ სასამართლოში - თბილისის საქალაქო სასამართლოში<sup>4</sup>; გარდა ამისა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში მას ხშირად უწევდა ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვაში მონაწილეობის მიღებაც, როგორც კოლეგიური შემადგენლობის წევრს.

ამდენად, „კვლევის“ ავტორი, ამ ნაწილშიც, ან ფაქტობრივ უზუსტობებს ეყრდნობა დასკვნების გაკეთებისას, ან ამახინჯებს რეალობას და ვარდება აშკარ წინააღმდეგობაში.

**6. შენიშვნები „კვლევის“ ნაწილზე „მოსამართლეთა გადაადგილება სააპელაციო სასამართლოებისა და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების ადმინისტრაციულ საქმეთა პალატებში/კოლეგიებში“, აგრეთვე - „დანართზე“:**

6.1. „კვლევის“ ავტორის ლოგიკა, „კვლევის“ ყველა წინა ნაწილის განვითარებისას, ეფუძნებოდა შემდეგ პოსტულატს: „მოსამართლეთა გავლენიანმა ჯგუფმა“ გადაწყვიტა - საპარლამენტო არჩევნებამდე საარჩევნო საქმეთა განმხილველი სპეციალიზაცია დაეკომპლექტებინა „სანდო“ მოსამართლეებით, რათა გარანტირებული ყოფილიყო მმართველი პარტიის სასარგებლო გადაწყვეტილებების მიღება. ყურადღებას გავამახვილებთ შემდეგ გარემოებებზე:

6.1.1. თავად „კვლევისავე“ თანახმად, „კვლევის“ ავტორი და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ „მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის“ წევრებად მოხსენიებული მოსამართლეები: მიხეილ ჩინჩალაძე, ირაკლი შენგელია, სერგო მეთოფიშვილი და ნიკოლოზ მარსაგიშვილი, საპარლამენტო არჩევნების ჩატარებისას და საარჩევნო დავების განხილვისას არ ასრულებდნენ სამოსამართლო უფლებამოსილებას ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში/პალატაში.

6.1.2. „დანართში“ მიმოხილულია ისეთი მოსამართლეების „გახმაურებული საქმეები“, რომელთაც საარჩევნო დავების განხილვასთან შეხება საერთოდ არ ჰქონიათ (მაგ: ვლადიმერ კაკაბაძე, ლევან მიქაბერიძე, ლაშა თავართქილაძე, ნანა დარასელია, ნინო ყანჩაველი, ნინო შარაძე, ნათია მერაბიშვილი, ინგა კვაჭანტირაძე, ნიკოლოზ მარსაგიშვილი, ლელა ჭინჭარაული და სხვ).

ამდენად, „კვლევის“ ამ ნაწილის გაცნობის შემდეგ, ზემოთ მითითებული პოსტულატი აშკარად თავდაყირა დადგა, რადგან „კვლევის“ ავტორი ჩავარდა გამოუვალ წინააღმდეგობაში.

**7. შენიშვნები „კვლევის“ ნაწილზე „დასკვნა“:**

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მივიჩნევთ, რომ „კვლევის“ ავტორის დასკვნები პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოთა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიების, პალატების, ვიწრო სპეციალიზაციებისა თუ მოსამართლეთა მორიგეობის სიების დაკომპლექტების მარეგულირებელი კანონმდებლობის და ამ კანონმდებლობის საბჭოს და სასამართლოს თავმჯდომარეების მიერ გამოყენების პრაქტიკის ხარვეზიანობის შესახებ დაუსაბუთებელი და წინააღმდეგობრივია, არ ეფუძნება საკითხების სრულყოფილ და ობიექტურ შესწავლას, რადგან ესა თუ ის მოვლენა მხოლოდ ცალმხრივად, უარყოფითი

<sup>4</sup> <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202008/204-2008%20001.jpg>

კონტექსტიტაა წარმოჩენილი, იმგვარად, რომ უგულებელყოფილია ამ მოვლენის დადგომის რეალური, ობიექტური მიზეზები.

ზოგადად, კვლევა რომ ობიექტური და სანდო იყოს, ჯერ საკვლევ საკითხთან დაკავშირებული ინფორმაცია სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად უნდა გააანალიზდეს და შემდეგ გაკეთდეს დასკვნა, მხოლოდ ამ ანალიზის შედეგების საფუძველზე.

წარმოდგენილი „კვლევის“ შესწავლის შედეგად, კიდევ ერთხელ დავრწმუნდით შემდეგ სამწუხარო რეალობაში: „კვლევის“ ავტორმა არასამთავრობო ორგანიზაციამ ჯერ გააკეთა მიკერძოებული, მისთვის ხელსაყრელი დასკვნა და შემდეგ მოვლენები საერთო სურათიდან, კონტექსტიდან ამოგლეჯილად მიუსადაგა უკვე გაკეთებულ დასკვნას, რითაც დაამახინჯა რეალობა და შეეცადა - საზოგადოება შეეყვანა შეცდომაში. კერძოდ: მან, 2019-2020 წლებში მოსამართლეთა გადაადგილებების სრული სურათი მიზანმიმართულად არ ასახა „კვლევაში“, რადგან მაშინ გამოჩნდებოდა, რომ ეს გადაადგილებები განაპირობა არა რაღაც გაურკვეველმა „კლანურმა“ ინტერესებმა, არამედ - ობიექტურმა აუცილებლობამ, საქმეთა სიმრავლის პრობლემის დაძლევის მიზანმა.

ჩვენ წარმოგიდგინეთ სრული სურათი, სამი ყველაზე დიდი სასამართლოს მაგალითზე, რომლიდანაც ირკვევა, რომ გადაადგილებები მოხდა არამხოლოდ ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიებში/პალატებში, არამედ ცვლილებები განხორციელდა სასამართლოებში სამივე სპეციალიზაციის მოსამართლეთა გადაადგილებების თვალსაზრისით.

ამიტომ, „კვლევა“ არ უნდა ჩაითვალოს სასამართლო ხელისუფლებასთან დაკავშირებული საკითხების შეფასებისას სარწმუნო ინფორმაციის ამსახველ და საორიენტაციო დოკუმენტად.